20 ივლისი 1908 ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 53 ყოველკვირეული ჟურნალი № 53

პირველ ივლისიდგან „ნიშადური“ წლის დამლევამდე ღირს სამი მან.

ქართველი მწერლები და მოღვაწენი

სერგეი მესხი.

(გარდაცვალ. 25 წლის გამო † 21 ივლისი 1883 წ.)

ს. მესხის გადაცვალებაზე.

თვალს ვაძლევ მილად მწუხარებას, მაგრამ ცრემლები
შიგნივ უჩინრად, გულს სამსალად მეწვეთებიან,
ახალი ჭმუნვით ატანილი, ძველი წყლულები
სამრავალკეცოდ იშლებიან!... მიახლდებიან!...

— —

აღარ მეგონა, თუ გულს ჩვეულს მწუხარებისას,
კიდევლა რამე უკმირებდა ასე საგრძნობლად!...
მ გრამ დაკარგვა ამხანაგის და მეგობრისა
ძნელი ყოფილა!... ველარ იტანს ხორცი ამ სოფლად!...

— —

ჩვენს პატარა წრეს, უმისოთაც ამ მცირე რაზმსა
დააკლდა მუშა!... შეეწირა სამშობლოს მსხვერპლად:
აქ ვალ-მოხდილი წრფელის გულით და სინდისით,
იქ საკადრისად წინაპრებთან წარსდგა პირ-ნათლად!!..

— —

მოგვშორდა, მაგრამ სანამდის ჩვენ ჩვენს წმინდა მი[illegible]ანს
არ ვუღალატებთ, არ გასწყდება კავშირი ძმური:
ჩვენთან იქნება უხილავად!.. მაგრამ ოცნება
ვერ დაგვავიწყებს მაინც ნამდვილს... და ბედს ვემდური!!!

აკაკი.

(„დროება“ № 160, 1888 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდება მთაწმინდაზე.

(იდიობის კამა)

.....რაღას უშველის ცრემლების ფრქვევა,
ან დამნაშავის თავის მართლება?
მორჩა! . აღსრულდა მახინჯ შვილების
ღვარძლ მორეული სულის კვეთება!..
განა არ გვახსოვს რა ცილს სწამებდნენ,
სიმართლის მთქმელსა რა რიგ სდევნიდნენ?
ბრბოს უყვიროდნენ: დასაგმობია!
და წმინდა ნიჭსა ტალახში ჰსვრიდნენ!
მაინც დაადგეს ეკლის გვირგვინი,
მსხვერპლი შეიქმნა ავი ენისა;
ქართლის მიდამო სისხლით მოირწყო,
ტყვიით გაჰგმირეს ბურჯი ერისა!..

———

„როცა ხეს სჭრიან, ნაფოტი ცვივა!“
აღარ დაინდობს მტვრად აქცევს ქარი;
დაე იხარონ მამულის ორგულთ,
დაე უგუნურთ მოართონ ხარხარი!
თვით არ იციან, რასაც სჩადიან,
ვისზედ აღმართეს ხელი საზარი?..
თქვენ კი ჯალათნო, ბნელეთისანო,
ხმამ იდუმალმა არ მოგასვენოთ;
თრთოლვით ისმენდეთ წყევლა-კრულვასა
და, ვით იუდას, გული გიკვნესოთ!..

———

ჰოი მთაწმინდავ! წმინდა ფერდობზე
დიდი მოძღვარი აწ განისვენებს;
ცოცხალს წილად ჰსვდა ეკლის გვირგვინი
ჩანგს ციურ ხმებზე აღარ აჟღერებს!
აღარ გაისმის მტერთა საგმირათ
ხმა სიმართლისა, სიტყვა მქუხარე;
ობოლი ერი ვინ ანუგეშოს,
ვინღა შეუშროს ცრემლი მდ-ულარე?!

———

რისთვისა გხედავ, ველო ქართლისავ,
შენი დუდუნი რად მესმის მტკვარო?
დედავ ქართლისავ, მანდილ ახდილო,
მითხარი, როდის კვლავ გაიხარო?
შავმა ღრუბლებმა ზეცა წაგრაგვნეს,
სხივი ჩაგვიქრა არე ქვითინებს;
ნადირი ტყისა ღმუის საზარლად
და მეხი გვაფრქვევს ცეცხლის ნაპერწკლებს!
სული შეჰხუთეს მშობელ ქვეყანას,
ცივ ჩრდილოეთმა დაგვბერა ქარი;
ყვავმა გაჯიჯგნა კოკორი ვარდი,
მტერმა ცეცხლს მისცა მაშვრალთ სახლ-კარი!

———

მონობის დროშა ააფრიალეს,
ფეხ ქვეშ გასთელეს ჩვენი უფლება;
და ჩჩვილთა სისხლით ბასრი მახვილი
სასტიკმა ხელმა წითლად შეღება!
ცოლშვილთ აჰხადეს ურცხვად ნამუსი,
მოშხამეს წყარო მარად მჩქეფარი;
ამაყი სული ადრე ჩაგვიკლეს
და შეურაცყვეს წმინდა ტაძარი.
სადღა არიან ძველი ქართველნი
მამაცისათვის თავდადებულნი?
მხოლოდ ღალატი, პირადი მტრობა
მახინჯ შვილსა აქვს გულს ჩამარხული!

—

ყვავნი, ყორანნი თავს დაგვჩხავიან,
ხევში ჩაჩეხილს ლეშსა ჰჯიჯგნიან;
შორ მხრიდან დათვნი გადმოვარდნილნი
მიწით აღგვასა გვემუქრებიან!
აღარ გვინათებს ბედის ვარსკვლავი,
ადრე მიყუჩდა ძლიერი მკლავი;
შავი სიკვდილი თავს დაგვტრიალებს
და გათხრილია უკვე საფლავი!..

. . . . . .

—

დედებმა შვილი კვალად ერთგული
მშობელ ქვეყნისთვის ველარ აღზარდონ;
ველარც აკვანთან ნანა ქართულად
გულის ამგზნები მათ უგალობონ!
და, დაე დასტკბნენ მახინჯი შვილნი
ერი ქართველი როს გადაგვარდეს;
მხოლოდ კი გული, შავ დღეთ მნახველი,
თვით სამარეშიც მწარედ ატირდეს!..
ჰოი ფიქრებო, გულთა მქეჯნავნო,
რისთვის მისახავთ შავს მომავალსა?
ნუ თუ ქართველი კვლავ ველარ აღდგეს
და ველარც დასძლევს ბედსა მუხთალსა?!..

ს. შ—ლი.

პირველი ლოცვა.

Quasi una fantasia.

ვუძღვნი თავ. ზ. ჯავჯავაძის ასულს სოფიოს.

დანაღვლიანებული რიჟრაჟზე გავრბოდი ქალაქიდან. გავიარე შუაგული, სადაც ბინადრობენ ბედნიერნი ამა ქვეყნისანი. ფუფუნება, უზრუნველობა თვალწინ წარმომიდგა. შევიარე მუშების, ღატაკების უბანში. შრომის მძიმე, ტლანქი ხელი, წუხილი. ვაება, კვნესა, ჩივილი დამეხატა, გული მომიკლა.

ვერ გამომერკვია მიზეზი ჩემი ლტოლვილებისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც უცნაური ძალი მატოვებინებდა წყევა-კრულვის საბუდარს, განსაკუთრებულ საზიზღროების ნაგუბარს — თანამედროვე ქალაქს მსურდა ქალაქ გარეთ ყოფნა, — მარტოობა საბრალოა, ხომ სულ ობოლი. მეც ობლად მიმაჩნდა თავი.

მივდიოდი ხელ-უხლებელ ბუნებასთან შესაერთებლად.

კაეშანი კაეშანზე მემატებოდა.

რაღაც საშინელი ბოლმა ისადგურებდა ჩემს გულს. პირადი უბედურება სატრფოს დაკარგვა. ჩემი დაჩემი თანამოაზრეების საკაცობრიო იდეალის დამსხვრევა განხორციელების დროს. ყველა ეს საკმაო სარჩო იყო, ჩემი მწუხარების საკვები.

ვიდოდი ჩქარის ნაბიჯით.

ჯერ არავინ სჩანდა ქუჩებში. ბოლოს, როდესაც ქარხნის საყვირებმა გულ საკლავად დაიღრიალეს ტანჯულთა და მაშვრალთა სამუშაოზე მოსახმობად, — აქა-იქ გამოჩნდნენ ისინი, ვისიც მუდმივი შრომა შეადგენს საძირკველს მდიდრების მოფუფუნე ცხოვრებისას. განცვიფრებით მიყურებდნენ. გიჟათ მთვლიდნენ. სისწრაფით გვერდს მივლიდნენ.

როგორც იქმნა, გავიარე ქალაქი.

შევუდექი მიდამოებს.

საამური ამწვანებული ტყე მაღლობზე გაშენებული თვალს წყალს ასმევდა.

შევედი შიგ ტყეში.

ჩემი გუნება სხვაფერდებოდა.

სიჩუმე სწორედ სამკურნალო მალამო იყო ჩემი ტანჯული სულისათვის.

არსაიდან ხმა, არსით ძახილი!...

რა მშვენიერია, რა საამოა ზოგჯერ ამგვარი წუთი ადამიანის ცხოვრებაში!..

მე მივდიოდი...

ადამიანთა ბუნაგის დატოვებამ განმინათლა, ცოტა არ იყოს, გონება.

წარმომიდგა თვალ-წინ ტანჯული კაცობრიობა, აღდგომის კვერცხს დამსგავსებული ჩემი პაწია სამშობლო, გვემულ-წამებული მგოსანი — დიდება ჩვენის ქვეყნისა.

მაშინ კი მივხვდი, რა ძალის გავლენის ქვეშ ვიმყოფებოდი.

მე მივეშურებოდი იმ წმინდა ადგილისკენ, სადაც გენიოსს მოკვდავი ვამის ნეშტი ესვენა...

ეს იყო ჩემთვის სამლოცველო... საუკეთესო ნიში, სადაც შემეძლო ჩემი წუხილი, ჩემი კაეშანი გამექარწყლებინა

მსურდა ჩივილით მიმემართნა. მინდოდა ბოდიში მომეხადა მისი წამების გამო ვთვლიდი ჩემს თავს დამნაშავეთ.

დიდებული შვილი უბედური ქვეყნისა, ხომ, უგნურობის მსხვერპლი იყო. უცოდინარობა, გონებრივი და ყოველგვარი სხვა სიღატაკე არ იყო მოსპბოილი. ეს გულს მიწყლულებდა.

ბრალს ვსდებდი ჩემს თავს, ვამტყუნებდი ყველას, მშრომელი ხალხის ნაოფლარით გამოზრდილს,

მივუახლოვდი სათაყვანებელ ადგილს.

მშვენიერი სწორ-უპოვარი წალკოტი ჩემს თვალ-წინ იშლებოდა.

კვიპაროზის ხეები საამურად, დინჯად სდარაჯებდნენ საფლავს.

ცაცხვის ხეები უკმევდნენ საკვირველ სუნნელებას.

ხორციელად შობილს ეს მაგონებდა სუნნელოვან თაფლს მშრომელ მწერ-ფუტკრისაგან შექმნილს.

უნებური შედარება თავში მიტრიალებდა.

საიაიზმო წყარო იქვე ახლოს სჩქეფდა.

ფიქრით გატაცებულს მომეჩვენა, რომ დიდებული საფლავი შარავანდედით იმოსება... ნისლს ალერსიანად გულში ჩაეკრა წმინდა ადგილი.

ნათლად ვხედავდი აპოთეოზს — დიდი მამულიშვილის ამაღლებას.

გული ხარობდა, რომ იგი სტოვებდა ყოველსავე მიწიერებას და შორს მიეშურებოდა.

ხორციელობა იკარგებოდა... ინთქმებოდა საუკუნოებაში. ყოველივე დროული ილტოდა და მუდმივობა იჭერდა მის ადგილს...

გავჩერდი შორი ახლოს.

ფიქრმა წამიღო ..

ვერ შევნიშნე...

საფლავის წინ მუხლ-მოდრეკილი, ხელ-აპყრობილი იდგა თმა-გაშლილი ქალწული. ჩემთვის დაესწრო. ისიც უკვდავი მგოსნის თაყვან საცემლად ამოსულიყო. ნაღვლიანი სახე ამტკიცებდა ღრმა მწუხარებას. გულს სახმილი მოჰკიდებოდა.

ამ წამს ის მთელი ერის ტანჯული ცხოვრების გამოსახვა იყო. მისი სიმბოლო...

ქალწული ცრემლით ალტობდა საფლავს.

ცრემლი ისევე წმინდა იყო, როგორც იქვე მომჩქეფ ბინულის ბრწყინავი შხეფები.

ქალწული პირველად ლოცულობდა. ამისათვის განგებ ამოერჩია ეს წმინდა ადგილი.

დიდებული ტაძრის ნანგრევები..

დიდებული წამებული მამულიშვილის ნეშტი. ორივე ბოროტი კაცისაგან ხელ-ხლებული გულს უთუთქავდა ნორჩს, გაუხარწნელს, უმანკო არსებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალწული პირველად ლოცულობდა. ლოცვა სწორედ ცისა და ქვეყნის შემკვრელი იყო. ეს იყო შეერთება ყოველივე ციურისა და მიწიერისა. ეს იყო ნამდვილი შუამავლობა მშვენიერებისა უზენაეს ძალთა-ძალის წინაშე უძლურობის ყოველივე ბიწიერების მოსასპობად.

სასო-წარკვეთილს რწმენა მიბრუნდებოდა.

შევცქეროდი განცვიფრებული თვალ-წარმტაც სურათს.

თუმცა სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ სახე ქალწულისა თვით მეტყველებდა. იმედი უკეთესი მომავლისა იღვიძებდა ჩემს გულში.

შევნიშნე ქალწულს სახეზე ცვლილება.

უხმო აღსარებას ლოცვას მოჰყვა ქალწულის სახის გაბრწყინვება, გაცისკროვნება.

წარმომიდგა აყვავებული სამშობლო... ძალდატანება, ჩაგვრა, ყოველგვარი ბოროტება ძლეული... სიკეთე, სილამაზე, მშვენიერება გამეფებული...

ამ ქვეყნადვე ვიგრძენ სასუფევლის ნეტარება. შემრცხვა ჩემი თავისა. ქალწულის შეუმჩნეველად მივატოვე წმინდა ადგილი. გავეშურე ისევ ქალაქისკენ.

ცოდვილმა კადნიერად განვიზრახე ჩემი სევდაწუხილის იქ გაქარწყლება.

ამ ადგილს მხოლოდ უმანკო არსებას შეეძლო მისვლა.

მე კი წარმოვიდგინე, თითქო ბრალი არა მქონდა-რა.

ბრილლი.

სამყარნოს მგზავრნი.

შელდისა.

მითხარ, ვარსკვლავო, ლაჟვარდ სივრცისავ,
საით მისცურავ, ვის აყრი სხივებს?
წყვდიად ღამისა შავსა უბსკრულში
როდის დახუჭავ ელვარე თვალებს?

—

მითხარი, მთვარევ, სხივ მიბნედილო,
რისთვის დასცურავ ობლად მჩინარი?
ცის უბინაო ვრცელ უდაბნოში
გინდა იპოვნო თავშესაფარი?

—

ქარო, მარად ჟამს თავზარდამცემო,
მითხარი, საით მიისწრაფები?
მწარედ ჰღრიალებ, აღარ ისვენებ,
რომელ ტანჯვითა ცრემლად იღვრები?

ა. შ—ლი.

ფარშავანგი როგორ გაჩნდა ქვეყანაზე.

(ზღაპარი ლეგენდა)

უძველ ზღაპარი ასე იწყობს:

იყო და არა იყო-რა დგთ.ს უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ფარშავანგი.

— როდისაო? იკითხავთ.

— ვინ იცის, როდის!!.. მას აქეთ დიდი ხანია. ეს კი დამტკიცებულია, რომ მაშინ მთელი უზარმაზარი რუსეთი თავისი თვალ-გადუწდომელი მინდვრებით გაუვლელ ტეითა და ბალახით იყო დაფარული და დაბურული რადგან მაშინ მზეს მეტი სიცხოველე ჰქონდა, მცენარეებიც და ცხოველებიც უზარმაზარი იცოდა. მაგრამ ამ უზარმაზარ ცხოველებთან წვრილი ნადირი და ფრინველიც ბევრი იყო. სადაც დიდი სპილო ვერ მოთავსდებოდა, იქ პატარა კურდღელს ეძინა, სადაც ხეზედ შავი დათუნა ვერ შეეფეთებოდა, მარდი ციყვი იჯდა ხის დრეკვში და თხილსა და კაკალს ამტვრევდა და ხრავდა. მრავლის მრავალი წვრილი და სხვილი ათასხაირად მორთული და აჭრელებული ფრინველთა გუნდი ამკობდა ხეებს და თავის ჟივილ-ხივილით სიცოცხლეს ბადებდა ასევე სიცოცხლით სავსე ტეეს და ველსა. მხოლოდ კაცი არსად ჩანდა, და რადგან კაცი არ იყო, ველგან მშვიდობიანობა და ერთმანერთის სიყვარული და ერთობა სუფევდა. ცულის და თოფის ხმა არ შეაძრწუნებდა ტეესა და იმის მცხოვრებლებს. ცხოვრობდნენ ერთმანერთის მეზობლად მშვიდად და შეუშფოთებლად.

აქვე ცხოვრობდა ფარშავანგიც. მიგრამ ის ფარშავანგი კი არა, ეხლა რომ თვალებს გვიჭრელებს თავისი ციასარტეელასავით მორთულ ათეარადებულ ბოლოთი,— მაშინ უბრალო მიწის ფერი ბუმბულით ჰქონდა ტანი შემოსილი, სატოდავი ხმით ჭეკვიროდა და ძავი გამხმარი ფეხებით მარაქაში ვერ ერეოდა. საზრდოდ ჯაგვების მწარე ხილ-ხეულს შეექცეოდა, ან დამშალ ფეტურის და დამიწებულს ფოთლებს ქექდა და იქ ნაპოვნ ჭია-დეუებით ითქვამდა სულსა. ნისკარტი და ფეხები მუდამ შავად ჰქონდა მოსვრილი ნეხვისა და ტალახისგან.

ასე უმადურად დაფავდა სულს.

ამავე დროს კი იმისი მეზობლები: ტურფა ხოხობები, მრავალფერი თუთიეუშები, ფამაზი ბოლო ჭრელი ჩიტები, გულ-წითელა, დედოფალა, ნიბლია, ბოლო ცეცხლა, მოდლური, ბზეწვია, ათასი დასტეული სამოთხის ჩიტები და ფრინველები ეკვეფლებივით ისხდნენ ხეებზედ, კალობდნენ, დასტოდნენ, თამაშობდნენ, ხან მიწაზედ გუნდ-გუნდად დასხდებოდნენ და ბაშის ასე გეგონებოდა, ფერადი მძივი დაუბნევიათ მიწაზედა და როცა აიშლებოდნენ ჭაერში, მფრინავ მინდვრის ეკვეფლებს მოგაგონებდენთ.

ფარშავანგი უცქერდა ეველა ამას და შურით და ბრაზით გულ-მუტელი ეკსებოდა. ან კი შესაშური არ იყო?

— სად ხეებზედ თავისუფლად ფთხრიალი და სად ნეხვისა და ნაგვის ქექა და მიწაზედ ხეტიალი!!

— ეჰ მამალო, მამალო, უთხრა ერთხელ გულმტკივნეულად წითელ-მსუქან ბიბილოიანს, ხოლო გძელ საეკვრებიან მამალს: აბა შეხედე გესაცვალე, რა უსამართლოა ბუნება, ირგვლივ რამდენი ათასნაირად მოართულ-მოპრანჭული ხალხი გვახვევია, მე კი ამ ლეგო სამოსელში უნდა ამოვიძრო სული, მშურს ღმერთმანი.

შენ რა გიჭირს, — შენს საეკვრებას*) მზეზედ ოქროსავით კაქვს ბჭეკრიალი, ხოლო შენი ალმასივით დეზები რომელ მხედარს არ მოუსტრება? ხმაა და, ღმერთმანი, როსტომივით ჭეკრი და ქვეყანას ათტებ. მე კი არც ხმა მივარგა, არც გარეგნობა. ნეტა ან ფრენა ვიცოდე ხეირიანი ან შენსავით მიჭრილეს ნისკარტი ეჰ ეველაფერით დამჩაგრა ღმერთმა და უკან დამაენა. გული მიკვდება, რო იცოდე პატარა ლედოფალა ჩიტიც კი მე უნდა მჯობდეს, თითქო ცისარტეველიდან გამოსულაო, ისეა მოართული, რომ სადმე შეეხვდე, არც კი შემომხედავს, აფრინდება და სხვაგან დაჯდება, თითქო ეშინიან ამ გონჯმა არსებამ არ მომსგაროსო. ამ დღეს მიეგუალოდი, მინდოდა ერთი ბუმბული მაინც მეთხოვა, წებოთი მაინც დავიკრაკი ან ფრთებში ჩავიტენები, მაგრამ რო დამინახა გულ-გახეთქილი აფრინდა და წივილ-კივილით მიმართა ტეესა.

თუთიეუშებისაგან ხომ სიცოცხლე მაქვს ჩამწარებული: იმ დღეს შემხვდნენ. „ჩვენს მშვენიერს ლედოფალს ვახლავართო. წვიმაში კარში ნუ გამოდიხარ, ქათიბი არ დაგისველდეს და არ გაგიხუნდესო!“ არ ვიცი. ღმერთმანი როგორ ავიტანო ამდენი დამცირება?!

მოგეხსენებათ, თუ კაცის გულის მოგება გინდოთ, უნდა აქოთ. ამაზედ კი საშუალება სხვა არ არის. მამალაინწას ფარშავანგის ქებამ თავბრუ დაახვია, „ხმა როსტომისა“ და „ალეზები მხედრისა“ სახუმარო საქმე ხომ არ არის, გის არ შეუცვლის გუნებას. მამალსაც ფარშავანგის სიტეკვებზედ გულმა რწყილივით ხტუნვა დაიწყო.

— ჭო და რა წახდება, იძახდა ბრძენი მამალი, რომ ეველა ჭრელ ფოროსანს თითო ფერადი ბუმბული უთხოვო, იმათ არა დაკლდებარა და ფარშავანგს კი კი ჭრელი ქათიბი შეეკერება ან კი ვინ დაიშურებს თითო ბუმბულს, ვითომ ქექაში გავარდნია.

თავისი აზრი მამალმა ფარშავანგსაც გაუზიარა. ერალი ფარშავანგი სიხარულით ცას დაეწია.

— გაბა არა, მეგობარო, მინდოდა მეთხოვნა შენთვის, მაგრამ ვერ გაბედე, რადაც ღვთის სასწაულია, რომ შენ თვითონ მოიფიქრე, იქნება ღმერთმა მომხედოს და მოგაკრაფოთ იმდენი, რომ ერთი ქათიბი შეეკერო, მაშინ ნახონ თავიანთი დამცირება. ვინ შამელრება მაშინ მე ქვეყანაზედ! უეჭველად ეცადე, შენი სულის ჭირიმე, და მერე ჩემზედ მოაგდე შენი პატივისცემა. მამალი დაჭიბრდა რომ უეჭველად შეუსრულებდა გულის მურაბს და დაუფიქრებლივ შეუდგა იმის ალსრულებას

გასწია მამალმა ტეეში. ჯერ სხვებსა ვთხოვ და რაც მე და ჩემს ნათესაობას ჭრელი ფრთა და ბუმბული გვაქვს, იმას ხომ წინ რა უდგია, სთქვა მამალმა და დაუწყო თვალიერება ჭრელ-ჭრელა ტეის მცხოვრებ ფრთოსნებსა.

შემოეკარა წინ ეშმაკი ჯათვარა, მთაში ჩხიკვად წოდებული

— ჩხიკ! ჩხიკ! ჩხიკ! გამარჯობა, მამალო! რა ქარმა გადმოგაგდო აქეოკენ, კეთილშობილო რაინდო! ხომ მშვიდობით ბრძანდება თქვენი ალმატებულება? თქვენი სამფლობელო-საბრძანებელი? რა საქმეზედ გარჯილხარ ამ დროსა? უეჭველია უსაქმოდ არ მობრძანდებოდი ამ ჩვენს ჩაბნელებულ ტეეში?!

მამალს მეტი სიამოვნებისაგან უნდოდა დაეეიეფა, ცოტა უკან დაიწია კისერი წაიგძელა, მხარი მხარს შემოჭვარა, უკანთითის ფრჩხილებზედ შესდგა, შაგრამ მოაგონდა, რომ როსტომის ხმა ჭქონდა და ვაი თუ რა მოჭეოლოდა ასე უალაგო-ალაგას დაეეიერებას, საფრთხილეს თავი არა სტკივა, არც ისე მაძღარი იყო მელია, რომ მამალის ხორცი ალარ მიერთმია. ვითომ არაფერიო, ფრთები გაისწორა, ჩაახვეალა და სამაგიერო ქება უძღვნა ჭრელ ჯათვარასა.

— ქვეენის დამამშვენებელო ტურფა ლედოფალო! მოახსენა ზრდილობიანად მამალმა. მე რაინდი ვარ და ქვეეანაზედ ათასი რამე მინახია, მაგრამ თქვენმა მშვენიერებამ ლამის დამაბრმაოს, რატომ ჩვენს ახლო არ მობძანდებით ხოლმე? მოგეხსენებათ ქვეეანაზედ მშვენიერებაა უდიდესად დამატებობელი კაცისა. აი ეხლაც საქმისთვის გიახელ და დიდი საქმისთვისაც, მაგრამ თქვენგე რომ არ გაგემხნევებინეთ, იქნება მე ვერც კი გამებედნა დაპარაკი.

— ჩხიკ! ჩხიკ! ჩხიკ! ეოჩაღ, ბიჭო! შენ თუ მაგოდენა სიმამაცესთან მაგდენი სიბრძნეც გექნებოდა, აბა რაგორ წარმოვიდგენდი, ბრძანე, რათ გარჯილხარ, მე მზათა ვარ დაგეხმარო, უთხრა ჩხიკვმა.

— მოგესხენება, დაიწყო კვლავ მამალმა, ფარშავანგი რა უწეინარი და მშვიდი ფრინველია, იმის წინაალმდეგ მგონი მტერიც ვერაფერს იტეეის, თორემ მოკეთეს ხომ ქებას მეტი არა შეჭფერისრა. მთელი თავისი დღენი ნეხვისა და ნაგვის ქექაში ირთმევს სულსა. არავის არაფერს არა სტეეებს და არც ეცილება. ამასთან — ბუნებისგან რაგორ არის დასჯილი, იმის ტანზედ ერთ ჭრელ ბუმბულს ვერ იპოვნის კაცი. მე ვფიქრობ და თვითონაც შეგეხვეწათ თქვენც და მეც, მოეთხოვოთ ეველასაგან თითო ჭრელი ბუმბული და ფრთა, რომ ეგები ერთი ქათიბი გამოეკეიდეს, რომ ბედნიერ დღეში წამოიასხას ხოლმე და ქვეეანაში გაერიოს. ჩვენთვის არაფერია და იმას კი

*) მამლის გძელი ფრთები ბოლოში.

ქვეყანაში გაურეგთ. აი მე სულაც დავბერდი, რაც კი ტანზედ იმისთანა ბეჭეგრიალა ფრთა მექნება.

— ჩხი! ჩხი! ჩხი! ახმაურდა ბრძენი ჯაფარა. არა უშავსრა, კაი ამბრია, ხვეწნა რად გინდა, მეც მოგართმევ ეხლავე და ვეცდები ხახბიდან დაწეობიდი ეგელას დავცინცლო რამდენიმე ჭრელი ფრთა. მაგით ჩვენ რა დაგვაკლდება, სწეულ ფარშავანგს ქათიბს შეეკერავთ და სამუდამოდაც გულს მოვიგებთ. სთქვა ეს, კოხტად ეელი მოიდერა, ეშმაკურად გადმოხედა, შეხტა, გაიბერტეა, ნისკარტით მხრები გაისწორა, რამდენიმე ჭრელი ბუმბული გამოაძრო და გადმოეგდო: ჩხი! ჩხი! ეგ ჩემგან და სხვებისგან სხვა იქნება. აბა შენც ეცადე, მამალო!

მართლაც იმდენი ეცადნენ მამალი და ჯაფარა, რომ ფარშავანგს ერთი საქათიბე სულ ნაირ-ნაირი ფრთა და ბუმბული მოუგროვეს. ასეთი ქათიბი შეკერეს, რომ ვერც ერთი ბეჭედა ვერ გაეჯიბრებოდა სიდამაზითა.

შეუკერეს და წამოასხეს. ეჰ! უნდა გენახეთ რა მშვენიერი ქათიბი იეო, რა ცისარტეელასავით ბოლო მზის ქალის მართასავით გაშლილი! რა ნეტარებაში გრძნობდა თავისთავს ფარშავანგი, რა სიამაეით ეგსებოდა გული. მხოლოდ ამას სწეხდა, რომ როცა ქათიბს მოიხსნიდა, ისევ იმ ლეგა ბუმბული მორთული რჩებოდა მაგრამ აქაც უშველა ღმერთმა.

ერთხელ ასე მორთულს ფარშავანგს შეხვდა ტეის დედა. ძალიან ეოცა და მოეწონა. მე ამისთანა არა გამიჩენია-რაო, სთქვა და მოდი დავსწერავ, ეგრეეე დარჩეს, როგორც ვხედავო. მართლაც შეუბერა და მოელი ქათიბის ბუმბული ფარშავანგს სულ ტანზედ კი აესხა! გახდა ფარშავანგი ბატრონი და მესაკუთრე ამ აუვაგებული ქათიბისა!

ფარშავანგი თვითონაც ვედარა სცნობდა თავის თავსა. მეტად გაგიეებული და ადტაცებული იეო ამ თავის უცხებელი ბედნიერებით. ვიხტ კი მიეულოცავდა, ეგელას თავ მდაბლად მადლს უხდიდა და მორცხვად მადლობას

— რა მორცხვი და სათნოა ეს ფარშავანგიო, იძახდნენ მოკლე ჭკეის ჩიტები. ეეეერე, როგორ თავდაბლად და ზრდილობიანად იქცევა, თითქო უბრალო ფრინგელი იეოსო.

ფრინგელები გაოცებულები შესცქეროდნენ ამ უცნაურ ფრთოსანს. ინდოურებს ბირი დაედოთ და კიგკიგებდნენ. ტეის ნადირებიც კი მოიხიბლნენ: დათვი რადასაც ბურტეუნებდა და გაოცებით თვალებზედ ხელს იფარებდა. მელაც ძალიან მოჯადოგებულიეო და ამ ყამად ადარაფერი ხინჯი ადარ ჭქონდა გულში. ხახობი ხომ სიმშურით გულზედ სკდებოდა.

— აბა რა მოამგონებდა, თუ ასეთი ჭრელი გამოგიდოდაო! სთქვა მამალმა, როცა დაინახა.

ფარშავანგსაც გაეშალა დიდებულ მხატვრისგან დახატულ მარაოსავით ბოლო და სამოთხის დედოფალივით იდგა. მოდიოდა და მოდიოდა სახახავად ბერინგელა. ეეეეე ეიო ხეების ტოტები, კუნძები, ზოგი ქვაბზედ იასდა, ზოგი ისე მიწაზედ და გაკვირვებით შესცქეროდნენ ამ ახალად მოგალესილ ფრინგელსა

— რა ვქნა, ეს ფარშავანგი არ არის, ის ლეგო ფარშავანგი, ჩვენ რომ სამადლოდ ეგელამ ჩვენი ჭრელი ბუმბულები მაგას მივეცეთ! სთქვა ბზეწვიამ. ასე უცებ როგორ მორთულა ე წეეული?

ეგელამ იცნო თავისი ბუმბული: ზოგმა მხრებზედ, ზოგმა ბოლოზედ, ზურგზედ. მუცელზედ, კისერზედ, თავზედ. გაკვარდა იმისი ქება-დიდების ხმა ქვეყანაზედ, ეგელა აქებდა, ამკობდა.

გავიდა დრო. ხეები, სადაც ოდესღაც ფარშავანგის სანახავად მოსული ფრინგელები ისხდნენ, დაბერდნენ და დაჩაჩანაკდნენ, ზოგი მოტეადა, ზოგი წელში მოეღუნა. მელია სიბერით დაბრმავადა და გული გაქეუტა. ქვეყნის ქება-დიდებისგან ფარშავანგი ძალიან გაამაყდა, გაგულდიდა, გულზვავი. უკაცრო, დაუნდობელი და მოსისხლე გახდა, უკადრისი, მიუკარებელი და სიკეთის დაუნახავი შეიქნა.

ბუმბულის ისტორიას თუ ვინმე გაიხსენებდა, — ბრაზდებოდა, ბირიდან ცოფებს ჭერიდა: ვინ არის თქვენი ტოლი, თქვე სკინტლიანებო თქვენა?! ვის ეკადრება თქვენი ტიდიანი ბუმბული?! არ იცით, რომ ასე გამაჩინა დმერთმა?! ვისაც კი მიეწვდებოდა, ზოგს თვალი ამოაჩიქნა. ზოგს თავი გაეტეხა, ბუმბული გააგლეჯა. ერთი სისტეგით ეგელას მადლი მატლად უქცია, გაბორტა და აადეგვა ხალხი.

— ერთი შემოგვეცქვნათ მაგას ეგ ჩვენი ბუმბულები, ვნახოთ რადაც ფარშავანგი დარჩება! იძახდნენ გაბორტებული ფრთოსნები და მგონი აესრულებენ კიდეც!

თ. რაზიკაშვილი.

სად.....?

კიდევ ფიქრები, მწარე ფიქრები.
აწმყო ცხოვრებით სული კრულია.
ეამთა სიავის მწვავე ვარამი
კაეშანივით გულს დამწოლია.
სით მოვუპოვო სულსა მშვიდობა,
სად მივიდრიკო თავი სნეული?
საით გავექცე ცოდვის ქვეყანას,
სად არს ცხოვრება სავსე და სრული?!
სად არს ჩაგრულთა წმინდა საფარი,
ხალხი ძლიერი, თავისუფალი;
სად ველურს ძალას ქედს არ უხრიან,
თავს არ ადგია ჭირისუფალი?

ტეტიას შვილის-შვილი.

ჯიოვანო ბოკკაჩიოდან

სამი ბეჭედი.

ძველ დროს მეფობდა სალადინი. სალადინი გამოჩენილი და შეუპოვარი მეომარი იყო. მან დიდ ძალი ქვეყნები დაიპყრო და მათ მართვა-მოვლაზედ მთელი თავისი ხაზინა დააცარიელა. გაჭირების დროს მოაგონდა, რომ მის მეზობლად სცხოვრობს ფრიად მდიდარი ურია მელქისედეკი. სალადინმა ისიც კარგა იცოდა, რომ ამ ებრაელისგან ფულის გაღება ძალიან საეჭვო იყო, რადგან ძუნწი იყო. ძალით სალადინმა არ იკადრა ებრაელის გაკოტრება. ფული კი ძალიან საჭირო იყო სალადინისათვის.

ბევრი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა: დავიბარებ ურიას, ერთს კითხვას მივცემ და თუ ხეირიანი პასუხი ვერ მომცა. თავს მოვკვეთ და მისი ქონება მე დამრჩებაო. დაიბარა მელქისედეკი და უთხრა:

— მე გამიგია რომ შენ ფრიად ჭკვიანი და გამჭრიახი გონების პატრონი კაცი ხარ; ამისათვის უნდა ამიხსნა რომელი სარწმუნოება უფრო ნამდვილია და კარგია? ჩვენი სარწმუნოება, ქრისტიანებისა თუ ებრაელებისაო.

ებრაელი მაშინვე მიხვდა თუ საქმე რაში იყო. იფიქრა ჩემი აღსასრულის დღე დამდგარია, თუ ჭკვიანი პასუხი არ მივეცი.

ბევრი ფიქრის შემდეგ ებრაელმა დაიწყო:

— ნება მიბოძეთ თქვენი კითხვის შესახებ ერთი იგავი მოგახსენოთ.

სალიდინმა ნება დართო.

— ერთი ფრიად მდიდარი მებატონე იყო. სხვა უთვალავ და ძვირფას თვალ-მარგალიტთა შორის, ერთი უძვირფასესი ბეჭედი ჰქონდა. ეს ბეჭედი ფას დაუდებელი იყო. თითქმის მთელი მის სიმდიდრის თანაბარი იყო. მებატონემ ასეთი წესი შემოიღო: ვისაც ეს ბეჭედი აღმოაჩნდებოდა, პირველი მემკვიდრე ის იქნებოდა მებატონის შვილებში. ერთის სიტყვით სახლისა და გვარის უმფროსი ის იყო ვისაც, ეს ძვირფასი ბეჭედი ექნებოდა. ეს ბეჭედი დიდის სიფრთხილით ინახებოდა გვარში. გავიდა რამოდენიმე თაობა. ბოლოს ერთ ამ ბეჭედის მემკვიდრეთაგანს ჰყავდა სამი ვაჟი. სამივე ისე უყვარდა, რომ ძნელი იყო შეეტყო კაცს, თუ რომელი გახდებოდა მემკვიდრე ამ ბეჭდისა. თვითონ შვილებიც მეტად კარგად ექცეოდენენ მამას; ისე ემორჩილებოდნენ, რომ მამა მუდამ ყოყმანში იყო, თუ რომელს ერთს უანდერძო ეს ბეჭედი; იმდენი არ არის რომ სამივეს ეყოს და არც ერთს წყენა კი არ მინდა, რადგან სამივენი ღირსნი ერთნაირ ფასი ბეჭდისაო. ბოლოს დაიბარა ოქროს მჭედელი და უთხრა:

— ხომ ხედავ ამ ძვირფას ბეჭედს? წაიღე და ორი ამგვარი ბეჭედი კიდევ გამიკეთე. სამნივე ბეჭდები ისე ჰგვანდნენ ერთმანეთს, რომ შეუძლებელი იყოს კაცმა გამოიცნოს, თუ რომელია ნამდვილი და რომელი ყალბი.

ხელოსანი დაჰპირდა და მართლაც ისე ნამდვილად დაამსგავსა ერთმანეთს ბეჭდები, რომ თვითონ ხელოსანსაც უჭირდებოდა გარჩევა ბეჭდებისა...

სამივე შვილები ცდილობდნენ მამის გული მოეგოთ და მით ძვირფასი ბეჭედი მიეღოთ. მამას კარგად ესმოდა ყველაფერი და მიტომ სიკვდილის წინად ცალკ-ცალკე მოიწვია შვილები და ყველას სათითაოდ დაურიგა ბეჭდები, თან უთხრა რომ არ გაემხილათ ერთმანეთისათვის. ამ ნაირად სამივეს ეგონათ, რომ საგვარეულოს ძვირფასი სამემკვიდრო ბეჭედი მე მერგო მამისაგანო, თუმცა ერთმანეთს არაფერს არ ეუბნებოდნენ. გარდაიცვალა მამა და შვილებმაც დიდის ამბით დაასაფლავეს.

მამის სიკვდილის შემდეგ სამივე მემკვიდრეობას ჩემულობდა. სამივენი იძახდნენ, რომ ჩემი ბეჭედია ნამდვილი და მემკვიდრეც მე ვარო, რადგან მამა ჩემმა სიკვდილის წინ მე გადმომცაო.

რადგან სამივე ბეჭდები ჰგვანდნენ ერთმანეთს —ძალიან ძნელი იყო ნამდვილი ბეჭდის ცნობა. ასე რომ არ იცოდნენ, რომელს ჰქონოდა ნამდვილი ბეჭედი...

იგივე ითქმის, მეფეო, სარწმუნოებაზედ. ჩვენ ჩვენი გვგონია ნამდვილი, თქვენ თქვენი, მაგრამ ძნელია სთქვას კაცმა რომელია ნამდვილი.

მეფეს მოეწონა ებრაელის პასუხი და ბოლოს პირდაპირ უთხრა, რომ მე ძალიან გაჭირვებაში ვარ, ფული მჭირდება და კითხვა რომ მოგეც მეგონა შესაფერ პასუხს ვერ მომცემდი ან იცრუებდი ან მაწყენინებდი და მაშინ ხომ შენ თავს მოგჭრიდი და შენი ქონებაც სახელმწიფო გახდებოდაო.

ებრაელმა იცოდა ვისთანაც ჰქონდა საქმე, მიტომ დიდ ძალი ფული მისცა სალადინს და გამოიხსნა გაჭირებიდგან, როგორც თავის თავი ისე მეფეც.

სალადინმა, რასაკვირველია, ებრაელს შემდეგში დიდის მადლობით დაუბრუნა ნასესხი ფული და თავის სასახლეში სალაროთ — ხუცესობა უბოძა.

შინ—ჩინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ხელოვნება

შარა-გზაზე, ა. მრევლიშვილის ნახატი.

ქართველი მწერლები

ილია ხონელი (ბახტაძე)
(გარდაც. რვა წლის გამო † 13 ივლისი 1900 წ.)

ქართული ხელოვნება

ტასო აბაშიძე.

ჩვენმა რედაქციამ ამ ათი დღის წინედ დეპეშით ცნობა მიიღო პარიზიდან, რომ ამ თვის 6 შემთხვევით და უნებლიედ თავის სადგომში ბრაუნინგის რევოლვერიდან უცაბედად ტყვია მოხვედრია მარცხენა მკერდზე ჩვენს ახალგაზდა და ნიჭიერ მსახიობ ქალს ტასო აბაშიძეს, რომელიც ამ სამი თვის წინედ პარიზში გაემგზავრა საექიმოდ და ხელოვნების შესასწავლად. ტასო აბაშიძე ერთათ ერთი ქალიშვილია ქართულ სცენის დამსახურებულ მსახიობთა მარიამ საფაროვის და ვასო აბაშიძისა. როგორც დანამდვილებით შევიტყეთ ტასო აბაშიძეს ბრილობა თუმცა მძიმეა და ზემო ფილტვებიც დაზიანებული აქვს, მაგრამ საშიშო არ არის და შესაძლოა მალე მორჩეს და სამშობლოში ჩამოვიდესო.

Speranza-ს.

უზალთუნად ერს გაჰყიდის —
სამშაურად მშობელ მამას;
სიმართლეს კი ანაცვალებს
პირად გრძნობას, ყლაპვას, ჭამას!

დონ-ყოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუცია ოსმალეთში

ოსმალეთის ხონთქარი აბდულ-ჰამიდი

11 ივლისს ოსმალეთის ხონთქარმა აბდულ-ჰამიდმა კონსტიტუცია უბოძა თავის ქვეშევრდომთ. თუმცა ეს „ბოძება“ უფრო იძულებული იყო ვიდრე ნება ყოფლობით. ეს რევოლიუცია ოსმალეთში მოხდა საოცარის მშვიდობიანობით და უსისხლოდ, რაიც მიეწერება იმ დიდებულ, შეგნებულ და თავგამოდებულ აგიტაციას, რომელასაც აგერ ორმოცი წელიწადზე მეტია, რაც ეწევა ეგრედ წოდებული ეროვნული პარტია „ახალგაზდა ოსმალელნი“. მათმა შრომამ და მეცადინეობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და განსაკუთრებით დიდი ფესვი გაიდგა ჯარში და სწორედ ამ ჯარის-მხედრობის შემწეობით მოახდინეს კიდეც ამ ერთი კვირის წინედ სახელმწიფო ცვლილება. თითონ ოსმალეთის ხონთქარი აბდულ ჰამიდი სულით ხორცამდე დესპოტია, მაგრამ ნათქვამია „ძალა აღმართსა ხნავსო“ და სწორედ ამ ძალამ—მხედრობისა და ჯარის მტკიცე სურვილმა აიძულა ხონთქარი ხალხისათვის მიეცა ის, რაც 32 წლის განმავლობაში დესპოტურ მუხრუჭში და კლანჭებში ჰქონდა მომწყვდეული. საქმე ის არის, რომ ოსმალეთის კონსტიტუცია გამოცხადებულ იყო პირველად 1876 წელს. მაგრამ აბდულ ჰამიდმა ხალხის თავისუფლება თავის განუსაზღვრელი დესპოტიას შესწირა, მაგრამ დრომ და ჟამმა თავისი გაიტანა და აწინდელ კონსტიტუციას ვერავითარი ძალ-ღონე და ტარტაროზი ვერ წაართვეს ოსმალეთის ხალხს, რომლის რიცხვში ბევრი ქართველებიც არის...



სერგეი მესხის ხელნაწერი



ნეტავ ვიყო...

ნეტავი ვიყო ბულბული,
შევსძლებდე მაღლა ფრენასა,
თან რასაც ვნახავ ზევიდან
ვათქმევინებდე ენასა.
არ მემუქროდნენ ძლიერნი
ტყვიას და სახრჩობელასა;
უშიშრად თავს დავჰკიოდე
მოძალე ტურა — მელასა.
რომ მათი ოინ-თარეში
არ მიშხამავდეს ლხენასა,
ვერ დამიშლიდნენ სიმართლეს
და თავისუფლად სტვენასა.
რომ შემძლებოდა მოსპობა
სიდუხჭირ-სივაგლახისა,
ძირ ფესვიანად ამოთხრა
ხალხის შემხუთველ მახისა.

გერი.

ტურფავ გამშორდი!

ტურფავ გამშორდი, აღარ მიყვარხარ!
გრძნობა გულისა მიეცა ღრმა ძილს!...
აწ მოწყვეტილი, ქანცმილეული
უშიშრად ვიხმობ, ვეძახი სიკვდილს!
სასტიკი ვიყავ,—არ შეგიბრალე!
მიტომ დაგღუპე რომ შეგიყვარე!..
წადი, გამშორდი!. . აღარ მიყვარხარ!
ვეღარ მომალხენს სიტყვა მგზნებარე!

ს. შ—ლი.

შეუძლებილია, რომ:

ჩვენ დროში ქურდს ექსპროპრიატორი არ დაუძახონ...

პოლიციამ ნამდვილ დანაშაულს მაგიერ, სრულებით უდანაშაულოს არ წაავლოს ხელი...

ეგვამ ბულბულობა არ დაიჩემოს, თუ კი ერთხელ რაიმე „პოგეტური“ შაირი „ჩაუგდია“ გაზეთში...

ჩვენებური ესდეკები სხვა რჯულის აღმსარებელთ „შაგრასმელები“ და “ზუბრები“ არ უწოდონ...

ესდეკური კრიტიკა შენს პიროვნების კარდა არ შეეხოს შენს მშობლებს, ცოლ-შვილს და სხვა ამგვარ კერძობა არ ჩიჩქნოს...

Голосъ Кавказ-ს მწერლებმა ქართველები ისე იხსენიონ, რომ უჩადებად, ავაზაკებად და კრამოლნიკებად არ მოინათლონ...

„ნოეს“ კიდობნისელებმა თავიანთი თავი „ერთად ერთი პარტიის“ წევრად და ქვეყნის მსხნელად არ აღიარონ.

რომ ქართველი მარქსისტები ჭკუით თუ გონებით, სიტყვით თუ საქმით — იოტის ოდენად მაინც გვანდნენ ნამდვილ მარქსისტებს! ..

მონადირე.

მაიმუნების „აჯანყება!“

ერთს მეტად საგულისხმიერო და თანაც საცინელ ამბავს გადმოგვცემენ გაზეთები. ცნობილ ამერიკელ ვაჭარს, რომელიც განსაკუთრებით მხეცებით ვაჭრობს თურმე, ვინმე ბარტელსონს, ამერიკიდამ მოჰყავდა გემით გერმანეთში 600 მაიმუნი, სამი ვეფხვი, თორმეტი სავსე ყუთში შხამიანი გველები და სხვა მხეცები. ყველა ცხოველები ცალ-ცალკე იყვნენ თურმე დამწყვდეულნი. მაიმუნის გალიები, მხოლოდ ურდულით იყო დამაგრებული. გემზედ მოსამსახურეთ, რომელნიც სულ სინგილიზები იყვნენ, ჰყავდათ პატარა მოშინაურებული მაიმუნი სახელად „ელიზავეტა“. ერთ მყუდრო ღამეს, როდესაც გემი წყნარ ოკეანეს ზვირთებზედ მიჰქროდა, და მოსამსახურეთა უმეტესი ნაწილი ძილს მისცემოდა, მოშინაურებულ მაიმუნს „ელიზავეტას“ ალბად შეებრალა ოთხ კედელშუა გამომწყვდეული თავისი თანამოძმენი და ფრთხილად გაუღო მათ გალიის კარები მაიმუნები ერთბაშად გამოცვივდნენ „ციხიდამ“ და მთელი გემი დაიპყრეს: გემზედ აუწერელი აურზაური ასტყდა: მილეწ-მოლეწეს, რის დამსხვრევაც-კი შეიძლებოდა, დაღრღნეს თოკები, დასწყვიტეს მავთულები, გადაჰყარეს წყალში ყველაფერი, რის გადატყორცნაც-კი მოახერხეს. სეირი არც თუ გემის სამზარეულოს დააყენეს: ჭურჭლეულობა და ავეჯეულობა მტვრად აქციეს.

გემზედ მოსამსახურენი, ფხიზელნი თუ ძილში გამოღვიძებულნი გულ-გახეთქილნი მოიმალნენ, მაგრამ ერთი უფროსი მატროსი-მაინც ჩაიგდეს მაიმუნებმა ხელში, და თქვენი მტერი მას დღე ადგებოდა: — თურმე ზღვაში გადაგდებას უპირებდნენ — მაგრამ მატროსმა როგორიღაც სასწაულით მაიმუნებს თავი დააღწია, თუმცა მწარედ დალურჯებას მაინც ვერ გადარჩა. ვინც გაბედავდა გარედ თავი გამოეყო ან უბრალოდ გამოეხედნა, მაიმუნები ყოველი მხრიდამ ბათქა-ბუთქს ასტეხდნენ, ისროდნენ რაც ხელში მოხვდებოდათ — ესეთმა ამბავმა ორ დღეს გასტანა. მთელი ამხნის განმავლობაში ამ ბედკრულ გემის გამგე-პატრონნი მაიმუნები იყვნენ. კაპიტანიც, რასაკვირველია, ძალზედ აირია, და გემი ხშირად უგზო-უკვლოდ ხეტიალში კინაღამ დაიღუპა. ორი დღე-ღამის „ბრძოლის“ შემდეგ მაიმუნები მოიქანცნენ და შიმშილისაგან ქანც გამოლეულებს ერთად მიეძინათ. ამ შემთხვევით ისარგებლა მოხერხებულმა კაპიტანმა და უბრძანა — დაეხსნათ ყუთები რომითა და სპირტით სავსე. გათენებისას ყველა მაიმუნები სასმელებს დაეწაფენ გაიმართა ,,ქეიფი''. ძალზედ გადაკრულ მაიმუნებს უგრძნობლად ჩაეძინათ. მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხეს მათი კვლავ გალიებში მოთავსება და ეხლა-კი მაგრად გადაჰკეტეს კარებები. რამოდენიმე „შექეიფიანებული“ მაიმუნი ზღვაშიაც გადავარდა და დაიხრჩო. გემი, როგორც იქნა, დიდის ვაი-ვაგლახითა და შეგვიანებით მივიდა დანიშნულ ადგილს. გემზედ მოსამსახურენი ღმერთს მადლობასა სწირვენ, რომ „აჯანყებულმა“ მაიმუნებმა, ვეფხვები, გველები და სხვა ცხოველები არ მოიშველეს, თორემ მათგან თავის ხსნა ალარ საიდამ იქმნებოდა...

მოდი და ნუ გაგიკვირდება? მაიმუნები სჩადიან ერთსულოვან აჯანყებას, მაშინ როდესაც ჯერ ზოგ ადამიანსაც-კი ვერ შეუგნია და ვერ დაუფასებია თავისუფლება?!.

ჯაფარა.

ქებათა-ქება

მოდის გოჭობა, ბატობა,
ჯიგრაულთ კარსა მხვდებიან,
ვისთვის მიუდის პატრონებს,
საისკე ერეკებიან?
საისკე? — დუშეთისაკე:
იქ ვაჟკაცები ჰყივიან
ქრთამად არავის გეგონოსთ
მხოლოდ ძღვნად ელოდებიან.

პოსრედნიკი ჰყავთ დუშელებს
ვით გაკრეჭილი ვაცია
ერთია მხოლოდ სამთაგან,
თან გვაროსანი კაცია.
ხან და ხან დოკუმენტები
,,დელოდგან'' გაუტაცია.
ბევრი რამ შაჰრჩა მხოლოდა
ერთხელ მე ხელი ვტაცია.
მრისხანედ შემომიბღვირა
შემომიგინა ნაცია
ჩემივე სისხლ-ხორცისაა
თეთრია როგორც ცარცია.
ვერ ჰნახავთ ერთხელ დუშეთში
რა ეშმაკს გაუტაცია?
მომჩივანთათვის, უწყოდეთ,
შორსაა მისი სტანცია.
ვისიც გოჭია—,,აქ მოდი''
ხელ-ცარიელებს,—ბრანწია.
ქართულსაც უმერთოდ ამტვრევს,
იძახის. ,,გაცი, გაცია!''
შუბლი მთლად გაუბრწყინდება
თუ ნახა ასსიგნაცია.
საწყალს ჩვენს გლეხკაცობასა
ძალიან დაბლა დასწია.
არა სჩანს ადამიანი
ზურგზე აჰკიდოს რანცია.
ზედ მისი გუდა-ნაბადა
უთხრას: ძმობილო, გნაცია!

—

საცა გავხედავ, ყოველგან
სჩანს რეაქციის კლანჭია:
საწყლებზე იყრის ყველა ჯავრს
ვისც სახე დაუპრანჭია.
თრთის და კანკალებს ჯირკვს ქვეშა
საწყალი კურდღლის ბაჭია.

ვაჟა—ფშაველა

ცოდნა და მეცნიერება.

ახლად აღმოჩენილი მიკრობი სიფილისისა.

ორი საშინელება რამ არის ქვეყანაზედ, რომელიც უქმდის კაცობრიობას სრულ გადაგვარებას: ადგოჭოდი (ლოთობა) და სიფილისი (ჩვენებურად ათაშანგი). დღეს ჭლექის გარდა არ არის არც ერთი სენი, რომელიც ისე მოდებული იყოს დედა-მიწაზე, როგორც სიფილისი. ამ სენის მომწამლავი ძალა ფრიად ძლიერი და შხამიანია. მართალია, იგი ადამიანს უცბად არა ჰკლავს, მაგრამ სამაგიეროდ სტანჯავს მთელის წლობით, აუძლურებს სხეულის ყველა ორგანოებს, ამძიმებს ტვინს. ამ სენისაგან თვისებას შეადგენს მემკვიდრეობითი გადასვლა შთამომავლობაზე; ეს სენი ხდება მიზეზი შთამომავლობის გადაგვარებისა: გონებრივი, ზნეობრივ და ფიზიკურისა.

როგორც ერთ რუს ბროფესორის თხზულებიდგან სჩანს, რუსეთში ყოველ წლივ ერთ მილიონზე მეტი ახალ-დაბადებული ბავშვი იხოცება დედ-მამისაგან მემკვიდრეობით გადაცემულის სიფილისით.

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს ამ ბოლო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა ეს სენი, ნამეტურ მოსწავლე ახალგაზდობაში; მიზეზი კი ამ სამწუხარო მოვლენისა საზოგადო ზნეობრივი დაქვეითებაა.

სიფილისით ავათმყოფობა ისეთივე ძველია რაგორც კაცობრიობა. თვით წინასწარმეტყველი მოსეს დროსაც მძინვარებდა ებრაელთა შორის სენი, რომელიც მაშინდელის აღწერით სჩანს სიფილისი უნდა ყოფილიყო. მოსეს კანონის ძალით ვინც ამ სენით გახდებოდა ავათ, სიკვდილით უნდა დასჯილიყო; მრავალ ტანჯული იობიც, რომელსაც მთელი ტანი დაუწყლულდა და საშინელი ტკივილები ჰქონდა ძვლებში, მეცნიერთა აზრით სიფილისი უნდა ყოფილიყო.

ბლუტარხისა, იუვენალისა და მარციალის სიტყვებიდგან სჩანს, რომ მათ დროსაც თურმე მძინვარებდა სიფილისი. ინდოელთა უძველეს ლიტერატურაშიაც არის ნახსენები სიფილისი.

მე-XV საუკუნეში სიფილისს პირველად დაერქვა სახელად "morbus venereus" ესე იგი ვენერიული ავათმყოფობა. აი აქედგან იწყება ამ სენის მეცნიერული შესწავლა. თანდათან გამოირკვა, რომ ამ სენით ადამიანი მხოლოდ გადადებითა ხდება ავათ და თითქმის ყოველთვის სქესებრივ ვნებათა დაკმაყოფილების დროს. ამ სენის შხამი მხოლოდ მაშინ სწამლავს ადამიანს, როდესაც სხეულის კანის იმ ადგილას მოხვდება, სადაც გაკაწრულია; პირველად ჯერ ეს ადგილი იწამლება და შემდეგ კი აქედგან საწამლავი მთელს სხეულს უვლის. ეს სენი საშინელია, სხვათა შორის, იმითი, რომ ავათ-მყოფი არას დროს დარწმუნებული არ არის და ვერც ექიმებისგან ვერ მიიღებს გადაჭრილს პასუხს, განიკურნა თუ არა.

შეიძლება დღეს მორჩენილს ჰგავდეს, მაგრამ კიდევ ორი - ხუთი და ოცი კვირაც და მოულოდნელად სიფილისის შხამი კვლავ იჩენს თავს. სხვათა ორგანოთა შორის ძლიერ ხშირად ეს სენი სწამლავს ტვინს და აი აქედან წარმოსდგება სხვა და სხვა გვარი სულით-ავათმყოფობა; ამავე საწამლავის გავლენით ძარღვები ჰკარგვენ სირბილეს, რის გამოც ხშირია წვეთის დაცემა

მეცნიერმა Ricord-მა ის აზრი წარმოსთქვა, ვითომ სიფილისი თავდაპირველად ადამიანს რომელისამე პირუტყვიდგან უნდა გადასდებოდეს.

ეს ის დრო უნდა ეოფილიყოს, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ იმდენად დაბალ იდგა თავისი სულიერი განვითარებით, რომ პირუტყვებთან ჭქონდა თავისი სქესებრივი განვითარება. დღეს არც ერთ პირუტყვს არა აქვს ისეთი სული, რომელიც წაგვიდეს სიფილისს. ამიტომ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ერთ-ერთი პირუტყვის რომელიმე სენმა ადამიანის სხეულში გადასვლით თანდათან იცვალა თავისი მომწამლავი ძალა და ბოლოს მიიღო ახალი სიფილის სახე.

სამასი წელიწადია, რაც მეცნიერნი სცდილობენ სიფილისის შხამის გაგებასა და გამოკვლევას. მას შემდეგ, რაც პასტერმა და კოხმა გაამდიდრეს ბაქტერიოლოგია და ადმოაჩინეს სხვა და სხვა გვარი ბაციდები, მეცნიერებმა მიაქციეს აგრეთვე უურადღება სიფილისის ბაციდის ადმოჩენასაც.

დიდი შრომა და ცდა დასჭირდათ მეცნიერთ სანამ ადმოაჩენდნენ სიფილისის ნამდვილ მიკრობს; წინადაც ბევრჯერ ადმოუჩენიათ, მაგრამ ეოველთვის გაცრუებული. 23 აპრილს 1905 წ. Schaudinn და Hoffman-მა სიფილისით ავათ-მეოფის სისხლში ადმოაჩინეს ერთგვარი მიკრობი, რომელიც მათის აზრით უნდა ეოფილიყო ამ სენის ნამდვილი შხამიანი მიკრობი. მას აქედ განვლო სამმა წელიწადმა და დღეს უკვე ერთხმად ადიარებულია მეცნიერებაში, რომ 23 აპრილის ადმოჩენილი მიკრობი სიფილის გამომწვეველი მიზეზია, რომელიც ეს არის რომ შხამავს ადამიანის სხეულს და ასე საშინლად ასნეულებს; სამმა სამეცნიერო კონგრესმა ბერნში, ნიუ იორკში და ბერლინში ადიარა ამ მიკრობის სინამდვილე.

სახელად ამ მიკრობს დაერქვა Treponema pallidum. ერთ ფრანგულ სამეცნიერო ჟურნალში*) ვრცელი წერილია დაბეჭდილი, სადაც სავსებით არის აღწერილი თვისებანი ამ მიკრობისა.

Treponema pallidsum, როდესაც მას მიკროსკოპის საშუალებით შინჯავთ, წარმოადგენს ფრიად მკრთალ ფერის არსებას, რომელიც გვედიგით გინუწუეტლივ იკლაკნება. თავისი მოუვანილობით ეს მიკრობი მოგვაგონებს ბურღს, იგი როგორც ბურღი ისეა დახვეული. სიგრძე ამ მიკრობისა 4—14 m. m., დიამეტრი კი 1,4. m. m. მრავლდება ეს მიკრობი ორ გვარად: თითო მიკრობი იეოფა სიგრძეზე ორათ და თვითეული ნაწილი ამგვარად გაეოფილი მიკრობისა ხდება დამოუკიდებელ ახალ არსებად; მეორე გვარი გამრავლებისა კი ის არის, რომ მიკრობი იეოფა შუაზე, თითქოს სწუდებოდეს და იწყობენ ახალ არსებობას.

მიკრობის სხეული ბოლოებში ისეა გაწვრილებული, რომ ისინი მოგვაგონებენ შოლტს.

Treponema pallidum ადმოაჩინეს ეოველი სიფილისით ავათმეოფის სისხლში, მუწუკებში, წულულებში —

ასეთ ადმოჩენას ფრიად დიდი შედეგი მოყვეა ეერ-მისში ტანჯულ კაცობრიობის სანუგეშოთ და დადგება მალე ისეთი დრო, როდესაც სიფილისი ისეთივე საშიშა ადარ იქნება, როგორც დღეს ეგვიდია მოსარ-დებელი ატრის წულობით.

ექიმი **ბადრიძე.**

ტურფას.

ტურფავ, შენი ცილქი სახე, მოელვარე, მწველი თვალი
აღარ მხიბლავს, ჩავაყუჩე სიყვარულის ცეცხლის ალი.
არ ვიკარებ გულთან ახლოს განშორების ფიქრს და დარდებს:
არას მარგებს მისი ქონა დამიბრკოლებს განაზრახებს—
რას მიქადის მომავალში, რით გაუწევს დახმარებას
ალერსი და ხვევნა-კოცნა ჩემი ვალის აღსრულებას?
სიტკბოება ამა ქვეყნის წარმტაცია წუთიერი;
უარს ვიტყვი, კიდეც დავთმობ თუმც დღესა ვარ ბედნიერი:
მახსოვს, ითხოვს ჩემგანაც მსხვერპლს ერი მტრისგან დაჩაგრული
და იღვრება ცრემლთა წყაროდ უსამართლოდ წამებული.
დრო იყო, რომ შეგხვაროდი, მოგელოდი მოუთმენლად;
ღამე და დღე დავიწესე ორივ ერთგვარ სათენებლად...
მაგრამ, აგერ, აღმისრულდა!.. ვხედავ უკვე აწ განთიადს;
ცის კიდურსა ნათელსა ჰფენს, ფრთა შემოჰკრა ღამის წყვდიადს.
შენს მოლოდინს, ჩემო ტურფავ, ვერ შევადრი მისს მოვლენას!
იგი მიხმობს თავისაკენ, შორს!... მეღირსა—მადლი ზენას;

დემნა—მროველი

ოთხის წლის სამსახური

(სოფლის ექიმის ცხოვრებიდან)

(გაგრძელება)

როცა ადგილზე მივედით, უკვალოფერი ცხადი შეიქმნა. რევიზორი თვით სახლის პატრონს ესტუმრა. ეერმე მისი რძლის ძველი ხანტობი და შორეული სათესავი ეოფილიყო. ახლა კი მივხვდი, რად ქონდათ სახლის პატრონს და მის „კნეინებს“ გული სგულეში! „რევიზორი“ სამ დღეს დარჩა სოფელში, იქეითა, დრო გაატარა, „შეგვარიგა“ მე და სახლის პატრონი, მოიწონა შენობა, მხოლოდ მცირეოდენი შეკეთება დაავალა პატრონს, შეადგინა „პროტოკოლი“ და გაუდგა დასს.

რევიზიამ, რასაკვირველია, უნაყოფოდ ჩაიარა, პირიქით, საქმე კიდევ უფრო გამწვავდა რა-კი „კნიაზი“ და „კნეინები“ დარწმუნდნენ, რომ მე არაფერი არ შემეძლო, ადარაფერად ჩამაგდეს. კვირაში ერთხელ მივდიოდი ახლობელ სოფელში ავად-მეოფების გასასინჯად. ჩემი მასპინძლის რძალი, რომლის წულობითაც ჩამეფუშა საქმე, „რეპეტიტორი“, აშარი დედაკაცი იეო, სიავით გავდა ოთარანთ ქვრივს. თუმცა სახელოვანი ქვრივის არც-ერთი დირ-

*) Lemic ro—organisme de La syphilis-ha Clinique

სებს არ ქონია. შევჯდებოდი თუ არა ტხენზე ხსენებულ სოფელში წასასვლელად, „რაპაპი“ კნეინა ერთ ადიაქოთს ასტეხდა ხოლმე და აქეზებდა ქსენონში შეგრეოვილ ავადმყოფებს: „დაჭკარით ექიმს კეტი თავში! რა ნება აქვს, რომ სხვა ავადმყოფებთან მიდის: ეგ აქაური ექიმია, აქედან ფეხს არ უნდა იცვლიდესო“. რა იცოდენ, რომ ექიმი მარტო ერთ სოფელს არ უნდა ემსახურებოდეს! ქრონიკულ ავად-მყოფებს ეოველთვის შეეძლოთ ერთი დღით ან ორი დღით მოეცადნათ. სხვა სოფელში კი აუცილებელი იყო კვირაში ერთხელ მაინც მენახა მძიმე ავადმყოფები, რომელთაც ჩემთან მოსვლა არ შეეძლოთ. უმეტესი ნაწილი ავად-მყოფებისა, ცხადია, არ აჭუეებოდენ ხოლმე „კნეინის“ რჩევა-დარიგებას, მაგრამ თითოეორლა ტუტუცი გამოერეოდა, რომელიც მწარე და უსამართლო სიტყვებით გულს მიწამლავდა. „კნეინამ“ ესეც არ მაკმარა: უფრო ექიმთან ენა მიქონდა, დოქტორი სულ სხვაკან დაიარებოს, ქსენონს ეურს არ უგდებს, ავადმყოფებს არ სინჯავსო და სხ. „კნიაზის“ მეუღლე თვითონ ექიმობდა, მოდიოდა ქსენონში და ურჩევდა ავად-მყოფებს, ჩემთან არ მოსულიეკნენ. „ამ ექიმმა არა იცის-რა. მე უკეთ ვიცი ექიმობა. და, თუ მაინც არ დაიშლით, აი ესა-და-ეს ექიმი არი კარგი და დახელოვნებულია და სხ. შემოდიოდენ ქსენონში დაუკითხავათ; მე არც კი ვიცოდი რაც უნდოდათ, მიქონდათ ჩუმ-ჩუმად. რომ დამეთხოვა, ამეკრძალა შემოშვება, „სკანდალი“ ატეხდებოდა, და მაინც „კნეინა“ გაიმარჯვებდა. გააკეთეს კალო ზედ ქსენოეის ფანჯრებთან, მტვერი და ბზით აივსო ოთახები. ვსწერდი „რაპორტებს“, ვწიოდი, ვემუდარებოდი „უფროსებს“, მიხსენით ამ მდგომარეობიდანთქო, მაგრამ არა გამოვიდა-რა: უფრო წაიერეეს და ჩემ „რაპორტებს“ „წითელ მაუდ ქვეშ“ ინახავდენ. დაზამთრდა, აცივდა. დღეში ურემი შეშა ვერ მშეელოდა. აუტანელი სიცივე იყო. ჭირი ჭირზე მომემატა. შვილი გამიხდა ავად მეცვანა ხვლით და კინაღამ მომიკვდა. შეუძლებელი იყო მისი მორჩენა ისეთ ბინაზე. ცოდ-შვილი ქალაქში კავგზავნე და დავრჩი მარტო. ავად-მყოფების მიღების დროს მეცვა „კალოშები“, სქელი საზამთრო პალტო და მეხუერა ბოხოხი ქუდი. შეუძლებელი იყო, ავად-მყოფს ტანისამოსი გაეხადნა: გაიყინებოდა. მეც ავად გავხდი, ამიტეა საშინელი „ქარები“. ჩემ მოვალეობას ვეღარ ვასრულებდი. ამ საშინელ პირობებში გავატარე ნახევარ ზამთარზე მეტი. ბოლოს მოთმინებისაგან გამოვედი და წავედი კიდევ „უფროსთან“ პირადად მოსალაპარაკებლად.

ძალიერ იწეინა უფროსმა ჩემი ნახვა. მრისხანედ შემომანათა თვალები, მერე პირი მომარიდა და ქალაქდების დაუწეო ჩხრეკა, არც კი მითხრა „დაბრძანდიო“. რასაკვირველია, მე იმის დაპატიჟებას არ დავუცადე, ახლოს, პირდაპირ დავუჯექი და შევაჩერდი. სახე მოდრეუბლეული ქონდა; ვიცოდი, რომ ავი დარი იქნებოდა. თვალ-ყური ვუდიო მადლა, თვალებით ქალაქდს ჩაჩურებოდა, მედიდურად ბრძანების კილოთი მკითხა: „რისთვის მოსულხართ!“ ზრდილობიანად ვუამბე ეველაფერი.—„მერე რა მოგარბეინებდათ მაგისთვის?! საკმაო იყო, გამოგეგზავნათ რაპორტი! ან კი რა-და საჭიროა მიწერ-მოწერა?! ბოქაულს მივანდვეთ საქმე და მოკლე დროში ეველაფერი სასურველად გათავდებაო“,—„ბოქაული რას დაგვეძებს,—ვუპასუხებ;—ჩვენს საქმეს ჩვენ უნდა მოვუაროთ. მე მომანდვეთ, და საქმეს მოკლე ხანში გავაკეთებთქო“. უფროსმა იფეთქა ფინთიხივით, დასჭექა: „თქვენ დაპარაკიც კი არ გეოდნიათ! როგორ ბედავთ ჩემ წინაშე თქმას, „ბოქაული რას დაგვეძებსო!“ მე უფროსი ექიმი ვარ! რას ქვია „ბოქაული რას დაგვეძებსო“! ჭა! რას მივაწერეთ, რომ ეველა „ჩემ“ ექიმებს კარგი განწყობილება აქვთ ბოქაულებთან! თქვენ ურჩი ეოფილხართ, ვერავისთან ვერ მოიყვლით! თქვენი ბრალი ეოფილა ეველაფერი, თქვენა ეოფილხართ დამნაშავე...“ ე�irოდა და თან დორბლს ურიო და პირიდან ცოფიანივით. სანამ არ გათავა თავისი „გაწერომა“, ჩუმად ვიეავი, ვცდილობდი თითოეული სიტყვა დამესახსოვრებია, მაგრამ ბრაზ-მორეულს შადრეგანივით ამოდიოდა პირიდან უხვი და მრავალ-ფეროვანი ლექსიკონი, და, სამწუხაროდ, მხოლოდ ორიოდე სიტყვას მოვკარი ეური. ბოლოს მეც გავფიცხდი, შევებედვირე, ერთი კარგად მიგაეეირე, დავარაჯეენე საშინლად კაბინეტის კარი და გავეფექი გზასა. ასე გათავდა მოლაპარაკება ეფროსთან! ჩვენ შორის კავშირი გაწყდა და სამდურავი ჩამოვარდა.

რა-და ბევრი ვილაპარაკო. მას უკან კიდევ მოვიდა სარეგიზიოდ თვით ეფროსი ექიმი, მაგრამ მაინც არა გამოვიდა-რა, თავი რომ მოვაბეზრე, ბოლოს ეარეს ადგილზე გადამაგდო. ჩემ შემდეგაც დასჭირდათ ექიმებს „კაწა მაწია“ ქსენონის შენობის თაობაზე. და მხოლოდ რუსეთის დიდმა რევოლიუციამ გაბედვინა „ვრაჩებნოე ოტდელენიეს“ მიენდო სოფლის ექიმისათვის ქსენონის გადატანა სხვა, უკეთეს შენობაში. დიდ, რომ რევოლიუცია არ მომხდარიეო, დარწმუნებული ვარ, ქსენონი დღესაც ძველ შენობაში იქნებოდა და ჯერაც არ იქნებოდა კიდევ გათავებული მიწერ-მოწერა, „რაპორტთა“ და “ბრძანებათა“ ტრიალი ამ ასე ადვილად შესასრულებელ საქმეზე!

ექიმი

გაგრძელება იქნება.



პროვინცია

—:—

ჭიათურა. უცხო სიტყვების ახსნა.

შახტა—თხილაძის ტრახტირი
შტეიგერ—ანდრო კობიძე
პროვოკაცია—ნასტრაჟნიკალ-ბაზარნიკი
ბურჟუა—მარგანეცისაგან გასუქებული ღორი
დრამატიული ხელოვნება—გიორგი და სოკრომ
ხაზიაინ—ბ-ნი სოლომონი
დრამა—„დამარცხებული“
„მედიატორსკი სუდ“—ნიკო და ჩაჩუა
ტელეფონ—ვალოდიას და ნიურას ჩურჩული
ხირურგია—კარტაშოვი ანუ ვიზიტის ხარკი

ბიჭი—ბიჭი

ჭიათური აქაური რამე-რუმე. აუტანელს კრიზის გაზიცდის დღეს ჭიათურა. ქვის ფასი დაეცა, ბანკს საფანელი შემოაკლდა. მრეწველთა საბჭო ლამის არი აღიგაოს შავი-ქვის სამეფოში, წვრილ მრეწველებს გაუქრათ „ნარცხილობა“ და დიდებსაც, რასაკვირველია, მოესპოთ „სკიდკა“. ერთი სიტყვით ჩვენი გაჭირვება დღეს-დღეობით საგრძნობელი და საშიშრო შეიქნა. ასეთ საუკეთესოდ მართოთ დროს ორიოდე მდიდარმა პირმა დრო იხელთეს და 30 კაპ. ფუთს ქვას შაურათ ღებულობენ, მასთან დიდი ხნიდან უმუშავრობისა გამო დაკეტილი სასწორები ცოტა არ იყვეს გამრუდებულან და 20 ფუთს 15 ფ. წონის, რაც ერთობ საზარალოა მწარმოებელისათვის.

ასეთ უქანკრობის ხანაში მოგებათ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ბაზარში გზის მოკირწყვლას დღე-დღეზედ დაამთავრებენ და დღემდის ლაფში ჩაფლულებს გვეღირსება მშრალზედ სიარული

სხვას რომ თავი დავანებოთ, ახალი ამბავი ჭიათურელებისათვის ისიცა კმარა, რომ აქაური კალბასით მდიდარი მოვაჭრე არჯევანიძე ეს ხუთი დღეა სადღაც გაიტაცეს (რადგანაც ერთობ სანდომიანი სახის კაცია, შეიძლება ქალებმა მოახდინეს ასეთი ექსპროპრიაცია) მისი ასავალ-დასავალი არსაით სჩანს, მხოლოდ არჯევანიძის უფროს ნოქარს მოსვლია ბარათი, რომელშიაც ხაზეინის განსათავისუფლებლათ თხოვენ 50,000 მანეთს. მოლაპარაკება უკვე დაიწყო უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით. ნოქარმა მომტაცებლებს საბოლოოთ 30,000 მანეთი აძლია. საქმე ჯერ არ დაბოლოვებულა. ვაი კალბასო!

მიკიტანს ბურჯანიძეს ორი თვის ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. რადგანაც წყალ-ნაკრავ ღვინოს 35 კაპ. სთავაზობს მუშტრებს. ხარალი საგრძნობელია.

პატივცემული ექიმი კარტაშოვი პირველი დუმაში ყოფილი დეპუტატი (საბჭოს ხირურგი) ჭიათურიდან ქობულეთში იწვევს ავათ მყოფეფს, რასაკვირველია ექიმის ხარჯით. კარგი საშუალებაა შენმა მზემ!

ჭიათურაში ეკლესიის აღმშენებელმა კომიტეტმა საბოლოოთ გადასწყვიტა, რომ გაიგზავნოს რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში სპეციალისტი, რომელმაც უნდა დაათვალიეროს საუკეთესო ეკლესიები და რომელიც უფრო მოეწონება (რასაკვირველია ალექსანდრე ნეველის) ჩამოიტანოს გეგმა. ამ საქმისათვის ზემო დასახელებულმა კომიტეტმა 40,000 მანეთი გადასდო კიდეც. ეხლა, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, გეგმის ჩამოტანა თავს უდვია სოფრომს, (კომიტეტის წევრია) რომელიც ამ მოკლე ხანში გაემგზავრება. ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ეკლესიის აშენებას ეგნატე კვიტიაშვილი სწირავს 700,000 მანეთ და გიგია 150,000 მანეთსო. ცხადზე უცხადესია, რომ ასეთ გულუხვი შეწირულობით საქმე სასურველათ დაგვირგვინდება.

ფართლით მოვაჭრე ძმებმა მშვიდობაძეებმა საგრძნობლათ დასწიეს ფართლის ფასი, მაგალითად ათ შაურიანს აბაზათ უთმობენ მუშტრებს. საზოგადოება დიდს მადლობას უძღვნის ასეთ სიუხვისათვის ძმებს მშვიდობაძეებს. ამბობენ ასეთი იაფობა მანამდის გასტანს, სანამ ყველა ფართლით მოვაჭრენი გაკოტრდებიანო. ახია ჩარჩ ვაჭრებზე!

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, შავი-ქვის მრეწველთა საბჭო ალ. გამრეკელოვის ადგილზედ (რომელიც დაინიშვნა მუშათა დამზღვევ აგენტათ) ასახელებს ცნობილს ფინასისტს და საზოგადო მოღვაწეს ბ-ნ ფ. გაბელაშვილს, მის კანდიდატურას მრეწველი საბჭო და მთელი ქუთაისი აღტაცებით ეგებებიან **თურმე.** გაბელაშვილისათვის მრეწველთა საბჭო ოთხი კაცისაგან შემდგარს დეპუტაციის მიგზავნას აპირებს თურმე დეპუტაციაში შედის ალ. კრინიკი, ს. მიზანდაროვი, გ. ნანეიშვილი და ირ. დეკანოზოვი. სიმართლეს მოკლებულია ის ხმა, რომ გაბელაშვილს ვითომცა უარი განეცხადებინოს თავის კანდიდატურაზე.

საჩხერელ ვაჭარს **ა**რონა კიკოზაშვილი და ჭიათურაში მოვაჭრეს ბაინდუროვს ნებართვა მოსვლია ბოქაული მიქიაშვილისაგან, რომ ჭიათურიდან სადგომამდე რკინის გზა გაიყვანოს. მუშაობა დღე-დღეზედ დაიწყება, უფროს ინჟინრად ასახელებენ ვიქ. ქადაგიძეს, მხოლოდ გლავნი ვრაჩად სვ. სამთელაძეს.

ჭიათურელ გილდი „კუპეცს“ მიხა გალუსტოვს 10,000 მანეთი გადაუდვია ამ კორესპონდეტის მოსაძებნათ, რომელიც ილ. კოხრეიძეს უსაყვედურებდა პრესის საშუალებით სასწორის სიმრუდეს. ხუა დადის ბ-ნი გალუსტოვი ამ საქმეს სერიოზულათ ეკიდებაო, რომლის გულისათვის პეტერბურღს მიემგზავრა **თურმე.** საცოდავი კორესპოდენტი! ნეტავი რად დაუჟინია გალუსტოვს ვინაობის გაგება ასე თავგამოდებით? ალბად. ..

გ. დაუნდობელი.

დ. ხარაგული. (ბელაგორი) გიჟიათუსელი ჩვენს დაბაში ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ჯაშუშთა თარეში. გუშინდელი ერთობის ხალხი, დღეს ჯაშუშთა კრებულს შეადგენს—რეაქციამ ყველაფერი შესცვალა—ერთობის ტახტზე ჯაშუშები შეასკუპა,

ყველას გადააჭარბა თავის პროვოკატორული მოქმედებით ადგილობრივ—რკინის გზის მოხელემ. ეს ვაუბატონი რეაქციამ იმდენათ გაათამამა, რომ სხვა დროს მისი ადგილი სწორედ საგიჟეთი უნდა ყოფილიყო. მის უშვერ სიტყვა-პასუხს და ხალხის ლანძღვა-გინებას საზღვარი აღარ აქვს. ხშირად სრულებით უმიზეზოდ აჭერინებს ხალხს და პროტოკოლები მისგან შედგენილი დღეს ყველას საარაკოდ გახდომია. ჟანდარმებიც კი მოიქანცნენ მისის სამარცხვინო „ერუგულობით“.

როცა თავის საკბილოს ვერავის ხედავს დაერევა ხოლმე მეხილე ბავშებს და სულ ტყავს აძრობს მათრახით... მივა

ბავშთან, მათრახით ხელში რასაკვირველია, დაუწყებს ვაჭრობას და თუ იმ ფასათ არ დაუთმო ბავშვმა გასასყიდი, რასაც თვითონ შეაძლევს, გამოეკიდება და არის მათრახის შლაპა-შლუპი და ბავშების წივილ-კივილი!...

ბევრნი გამწარებულის ღიმილით გაიძახის, რომ ამ ვაჟბატონს ნერვები აქვს აშლილი და ამისათვის ყოველივე სულელობა და ბოროტება ეპატივებაო. მაგრამ მაგარი ის არის, რომ სანამ იმას ნერვები დაუმშვიდდებოდეს ჩვენ კი ძალაზე შეგვაწუხა და აგვაწიოკა..• იქნება „ნიშადურმა“ ცოტათი გამოაფხიზლოს და გონს მოიყვანოს ეს მართლადაც გიჟი ან სულელი ვაჟბატონი. ნუ დაივიწყებს ქართულ ანდაზას: კოკა ერთხელ არის წყალზე გატყდება.—

ყუმბარა.

ძიზიყი და **ძიზიყელები**. ბოდიშს ვიხდი იმ პირებთან, რომელნიც პირველ წერილშივე ვერ მოვიხსენიე. მაგრამ არა უშავსრა, ნიშადური ეხლაც ამოეცხებათ.

აბა, ერთ ორ მღვდელს კიდევ მივუჩინოთ ნიშადურის გმირი უებარ ნიშადურით და შემდეგ ერის კაცებზედ გადავიდეთ.

როგორც წინა წერილში მოხსენებული გვქონდა, ქვემო-მაჩხაანი ბუდეა მღვდლებისა. დახე ჩვენს დაუდევრობას, რომ აქ ორი მამა გამომვეპარა. ესენი გახლავან: სანდრო ჯ—ოვი და ეგნატე მენ—ვილი. პირველს იმაში მიუძღვის დანაშულობა, რომ იგი მარჯვენა ფეხი იყო აწ განსვენებულ შაჩნაზისა და როგორც მოგეხსენებათ: „ბოროტი საქმე დღეს სინათლეს ვერსად წაუვა თუნდ დედამიწა დასამალად გადაეფაროს,—

ეგრედ მისი ძველი ცოდო დღის სინათლეს და ნიშადურის გმირს ვერსად დაემალა და ამიტომ ისეთი მძიმეა იგი რომ თუნდა ეხლა რაიმე სიკეთეც ჩაიდინოს მაინც ძველი ცოდო მისჩქლამავს პატარა სიკეთეს, ისევე როგორც სანაგეეზედ მარგალიტის თვალი უგზო უკვლოდ მიიჩქლამოს.

ეგ. მ—ვილი თუმცა ყველაფერში თავსა სდებს, მაგრამ იგი მაინც არარაა ერთ დროში მწერლობდა კიდეც, მაგრამ კრიტიკამ ჩანები ჩააყრევინა და დღეს საფანელ შემოლეული და გამშრალ-გამოფიტული საღათას ძილს მისცემია. დიახაც საჭიროა ამათვის ნიშადური: ს-ჯ-პოვს ძველს ცოდვებს მოანანიებს და ეგ. მ—ვილს ძილიდან გამოაფხიზლებს, მოასპობინებს სულ-წასულობას, მეტიჩვრობას, ქალებთან ოინბაზობას და სხვა მრავალ ცოდვებს უეჭველია დაიფიქრებს და მოაძებნინებს „ძველსა გზასა და ძველსა მეგობარსა“.

—

აბა ქვემო-მაჩხაანიდან რაღა შორს წავიდეთ და სჯობია ერის კაცებზე აქედანვე დავიწყოთ ნადირობა. ჩემის აზრით, სჯობია აქ ერთი ვინმე უსტაბაში ამოვირჩიოთ და ნიშადურის ამოცხება იმ ს დავავალოთ, თორემ ისე ბევრნი არიან სანიშადურონი, რომ ჩვენს გმირს სხვაგან წასვლა დაუგვიანდება.

ამისთანა საქმეში ალ, ნადიროვია ყოჩაღი და ჩემის მხრით უსტაბაშათ ამას ვასახელებ.

ეს გახლავთ განსვენებულ დ. მაჩხაანელის ძმისწული და რადგან თავის ბიძისა და მეგობრების გზას აუქცია და დღეს გადაგვარებულად „ესდეკობს“, ამიტომ ვავალებთ თავის „შოტში“ დაუმატოს ჩვენ მიერ მიცემულ ნიშადურს და ამოსცხოს შემდეგ პირებს:

უპირველესად მასწაელებელ ი, მ—შვილს, რადგან ძალიან ბაიყუშია და უწესრიგოდ იქცევა, ეჭიბ-ომას გულში არ უძევს, შემდეგ ტიტიკო თ—შვილს, შახნიზას დამქაშს და ქართველ ხალხის მოღალატეს. აფთიაქარ კურცხალიას, ამას ცოტა მეტი თორემ შეიძლება თავის აფთიაქში რაიმე ნელსაცხებელი ჰქონდეს და გაიგრილოს. ჯანმთელია და აიტანს. ეს ვაჟბატონი მშრომელ გლეხკაცობაზე შაურიან ქინაქინას ერთი-ორად მეტ ფასში ყიდის... აქვე სცხოვრობას ცერცეტი გ. მ—შვილი. რომელსაც თავისი თავი რაღაცა ჰგონია და დონკიხოტობას კი ვერ გასცილებია. დამშეულ თავთავივით თავი მაღლა უჭირავს, რადგან ცარიელია და ტვინი ორი მისხლის მეტი არა აქვს. ამის მეოხებით ცოტას გადარჩა ქვემო მაჩხაანში წარმოდგენა „სამშობლო“ არ ჩაიშალა, ამ ვაჟბატონს ნელი ნიშადური ამოსცხე, თორემ გაგიჟდება და თავის დაჟანგულ ხლმით მაჩხაანს მტვერს აადენს...

შემდეგ აირბინე ზემო მაჩხაანში და შენს მეგობარს თ. ტოკლიკიშვილს გაუმასპინძლდი. მხოლოდ უფრთხილდი ქრთამით არ მოგისყიდოს და ხირსის ღვინით არ დაგათროს, თორემ შავი დღე დაგადგება. აბა ყოჩაღათ ამოსცხე და თან უთხარი, რომ ჰორები აღარ ავრცელოს და ხალხს არ უქადაგოს ის სისულელე, რომელიც მეორე სულელმა გიგო ნ—ოვმა ჩაგონა აღარა სთქვას მითომ ფედერალისტებს ერთის მაგიერ ხუთი ქართველი „მეფე უნდოდეთ...“, თუ შენი სურვილიც იქმნება, ცოტა მამა-შენსაც ვასილ ნადიროვსაც ამოსცხე. შემდეგ დაუერე მაჩხაანის მედუქნეებს და გაჩენის დღე აწყევლინე.

—

აბა ს. პრასიაანს ვესტუმროთ. ცოტა ფრთხილად. აქ ობერ-ხულიგნები სცხოვრობენ და თუ ხერხით არ მოვექეცით, ხელიდან გაგვისხლტებიან.

გელია ი—ლს და საბა ბ—შვილს ერთობის დროს სუსხი უჩვენეს და თოკებით დასადუნებელი ხელებიც გაუკრეს, მაგრამ ესენი თავიანთ მრუდობას მაინც არ იშლიან და აბა, ეხლა ვინძლო ისე ამოვცხოთ ნიშადური, რომ ერთხელ და სამუდამოთ თავი დაანებონ ავკაცობასა.

—

გადავიდეთ ს. ტიბაანში. აქაური მამასახლისი, სტეპკო კუპრაშვილი სწორედ რომ ხელეჩოა, სულ თავისკენ მიითლის, მაგრამ თავის ღიპი მაინც ვერ ამოუვსია, ტიბანში ქათმის და ინდაურის ნავასი გააქრო. ვისაც შეუკვეთავს, სადილიც მზად არის. აქვე სცხოვრობს ერთი ქვემძრომი და შხამით აღსავსე ვანო ნ—შვილი დიდი მოყვარულია ხალხის არევ-დარევისა. ერთ ჭიქა არაყზე სულს გაჰყიდის და ძმას უღალატებს.

აბა ამათ ესაჭიროებათ მაგარი ნიშადური!

—

აბა ეხლა სოფელ ჯუგაანში გადავიაროთ და ერთი ორი დღე იქ დავისვენოთ. შემდეგ სხვა სოფლებს შემოუაროთ და ჩვენი მოვალეობაც დავასრულოთ. ეს სოფელი, მართალია, ბუდე გახლავთ ფედერალისტებისა, მაგრამ სანიშადურონი აქაც ბლომათ მოიპოვებიან. მაგალითად მოვიყვან ხუთი ძმის შემარცხვენელს ნიკო ზ—ლს. ეს ის ნიკო გახლავთ, რომელიც მოძრაობის დროს დიდ მონაწილეობას იღებდა და ძმებთან და მეგობრებთან ერთად ციხეშიაც ამოაყოფინეს თავი. მაგრამ დღეს კიბოსავით უკან უკან იწევს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომ სუქდები აგრე ძლიერ,
რისგან არის შე ეშმაკ!
— უფულოსთან არშიყობამ
ასე იცის ჩემო მაკ!..

გ...

ლამის არის გ. ალადაშვილის ფეხში ჩადგეს და ახლა ხალხს თვითონ დაუწყოს დევნა. ძალიან ბევრსა რატრატებს და ბრტყელბრტყელებს ისვრის. ხან თავის ერთგულებსაც კი ჰლალატობს და ენაწყლიანათ აგინებს თავის დუქან წინ. იმედია მალე გასწორდება და ძველებურად გასწევს უღელს, თორენ ნიშადური ყველასთან შეარცხვენს... იქნება დაავიწყდა უხილავი ძალა ნიშადურისა!.. ეს ისეთი ძლიერი გახლავთ, რომ სოციალდემოკრატების მესტვირეს „ეშმაკს“ კუდი ძირში მოაგლიჯა და მისივე მათრახით მასვე აუწვა ზურგი... რადგან დარწმუნებულნი ვართ რომ მალე გასწორდები, ამიტომ ამ სოფლად გარჩევ უსტაბაშათ, და იმედია რომ ყველას თანასწორად გაუმასპინძლდები.

უპირველესად კოტე დიაკვანი არ დაგავიწყდეს, რადგან მაგას ისეთი ჯიში აქვს, რავდენსაც სასტიკად მოეპყრობი, იმდენად ერთგული მეგობარი გახდება. მერე ამოსცხე შენს ახლო მეგობარს მამასახლისს დ. კიკილაშვილს, რადგან ძალიან ზანტია და სხვის ფეხებით დაიარება. არ დაგავიწყდეს დოხა, მამასახლისის შვილი, შენი დამქაში. ალი ჯუგაანის თავში და იქ მედუქნე მიხო მატიაშვილს გაუმასპინძლდი. ამ ცოდვილს არც კი სცხვენიან რომ ხალხში თავსა ჰყოფს. ეგ ხომ კაინის მონათესავეა...

აბა ფიფო არ დაგავიწყდეს და ძველი ცოდვებისათვის მოჰკითხე და უთხარ: რადგან 28 კაცში ერიე და ძმებს უღალატე-თქო ამიტომ ერთი გირვანქა ნიშადური მიგიძღვნეს შენს დასაჯილდოებლათ-თქო. ეგ სხვაფრივ დარბაისელი კაცი სჩანს და ფეხი მაშინ წაუბორძიკდა, როცა სხვის ჭკვას აჰყვა. იმედია შემდეგ გაფრთხილდება და სამშობლოს თუ არას არგებს, კეთილ საქმეში სხვას წინ მაინც ნუ გადაეღობება.

რადგან ჯუგაანში შეგვიღამდა და ავდარმაც მომატანა ამიტომ აქ შევჩერდეთ. დანარჩენ სოფლებს შემდეგ შემოუაროთ.

გიორგი ნარიგლეჯია.

პატარას სიყვარული

მიყვარს სამშობლო ლამაზი,
ათასფრათ ამწვანებული,
ჩემი ღარიბი სახლ კარი
და მუხა დაბერებული...
მიყვარს ბურთისა თამაში—
დაქანცულს—დედის ალერსი
საღამოს—გრძელი ზღაპრები.
ჩონგურის ჟღერა და ლექსი.
უზომოდ მიყვარს მე დედა,
სამშობლო კიდევ მეტადა,
მაგრამ რას ვაქნევ პატარა
ვერ გამოვდგები მსხვერპლათა!..

დემონი.

ბოდიშის მოხდა.

ბ-ნო რედაქტორო ჩემგან მოწოდებული ამ-ბავი ქ. ახალციხიდან, რომელიც შეეხებოდა ბ-ნ „ხანუმას“ და რომელიც მის პიროვნებას შეუ-რაცხყოფდა (დაიბეჭდა ნიშადურის № 34—ში) ეხლა როგორც საქმიდან გამოირკვა, მე შეცდომა-ში შევსულვარ და ნება უნებლიეთ მძიმე შეუ-რაცხყოფა მომიყენებია, რის გამო ჩემს მოვალეო-ბად ვსთვლი—ბოდიში მოვიხადო პირადად ქ-ბ-ნ ხანუმასთან და ვაღიარო, რომ ზემოდ ხსენებული ამბავი სიმართლეს მოკლებული ჭორი იყო

ყარამანი (გაბ. გურგენბეგიშვილი).

რედაქტორ-გამომც. **ვალერიან გუნია.**

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა „ძმობისა“ მოსკოვის ქუჩა № 5.